წერილის ნომერი: **44-4423040125**
თარიღი: **09/02/2023**

ადრესატი: ნოდარი ასამბიანი
მისამართი: ქუთაისი, თავისუფლების II შესახვევი N26

ქალაქ ქუთაისში, თავისუფლების მე-2 შესახვევი N26-ში
მცხოვრებ მოქალაქე ნოდარ ასამბიანს

ბატონო ნოდარ,

2022 წლის N19/4422346144-44 წერილობითი მომართვის პასუხად, რომლითაც ითხოვთ, 2017 წლის 21 აპრილს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე ნოდარ ასამბიანს შორის, 10 (ათი) წლის ვადით გაფორმებული ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საიჯარო ხელშეკრულება N14"-ის ვადაზე ადრე შეწყვეტას, გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ვადაზე ადრე დასრულებისათვის საჭიროა, მხარეთა მიერ მოხდეს ვალდებულებათა სრულად და სათანადოდ შესრულება. ა(ა)იპ ,,ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, თქვენ, როგორც მოიჯარეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმართ, გერიცხებათ საიჯარო ქირის დავალიანება 6424 (ექვსი ათას ოთხას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში, უზრუნველყოთ, 2017 წლის 21 აპრილის N14 საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმართ დარიცხული საიჯარო ქირის დავალიანების 6 424 (ექვსი ათას ოთხას ოცდაოთხი) ლარის დროული დაფარვა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა მოხდეს თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერის
მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი